საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წელი, მუხ. 52) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“ ქვეპუნქტი:
„ბ^{1}) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი შესაბამისი პირისთვის დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ;“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული კანონის მე-2 მუხლის „ბ^{1}“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განაჩენის აღსრულების წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

3 სექტემბერი 2025 წ.

N955-IVმს-XIმპ